საია-მ სისხლის სამართლის პროცესების გონივრულ ვადაში განხორციელებასთან დაკავშირებით ხარვეზები გამოავლინა

ანგარიში ემსახურება სისხლის სამართლის პროცესებზე დასწრებითა და გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზების, მათ შორის, დადებითი ტენდენციების იდენტიფიცირებას. ანგარიში ასახავს სისხლის სამართალწარმოების საკითხებს 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის პერიოდში, რა დროსაც საია-მ 2744 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა, ასევე ძირითად ტენდენციებს მონიტორინგის დაწყებიდან დღემდე.

ამჯერად წარმოგიდგენთ, ძირითად მიგნებებს, სასამართლო პროცესების გაჭიანურების მიმართულებით:

- პროცესი გახსნისთანავე გადაიდო 1103-დან 456 შემთხვევაში (41%). უმრავლეს შემთხვევაში პროცესის გადადება გამოწვეული იყო ბრალდების მხარის მოწმეთა არყოფნით - (გადადებული პროცესების 30%) ან საპროცესო შეთანხმებაზე

მოლაპარაკების მოტივით (18%). სხვა მიზეზებს შორის იყო ადვოკატის (13%) ან პროკურორის (10%) პროცესზე გამოუცხადებლობა.

- მონიტორინგმა აჩვენა, რომ ძირითად (38% შემთხვევაში) სხდომის დაწყება დაგვიანდა 30 წუთამდე პერიოდით. ასევე ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც პროცესი გვიანდებოდა 30 წუთზე მეტხანს - 26%. უმრავლეს შემთხვევაში სხდომის დაგვიანებით დაწყება განპირობებული იყო სასამართლოს მიზეზით (36%) ან სხდომის დარბაზი იყო დაკავებული სხვა პროცესის მიმდინარეობის გამო (17%). მხარეთა დაგვიანების შედეგად პროცესი დროულად ვერ დაიწყო 11% შემთხვევაში;

- საია სასამართლოში მონიტორინგს უწევს რამდენიმე საქმეს, რომლებიც წლებია მიმდინარეობს, ისე რომ კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა. ასეთი საქმეებია: 7 ნოემბრის საქმე (2015 წლიდან არსებითად იხილება), ე.წ. Ḍ□N□□□□□ საქმე (2016 წლიდან არსებითად იხილება), ე.წ. Ḍ□□□□□□ ციხის ყოფილი უფროსების საქმე“ (არსებითად იხილება 2014 წლიდან).

- Ḍ□□□□□□ ციხის ყოფილი უფროსების საქმე □□□□ დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადა. დანარჩენ ორ საქმეში მართალია, სასამართლოს მხრიდან პირდაპირ არ არის დარღვეული კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები, თუმცა წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესები ობიექტური დამკვირვებლის თვალში ტოვებს პროცესის გაჭიანურების შთაბეჭდილებას.

- ამის პარალელურად, საია-მ დააფიქსირა რამდენიმე არასაპატიმრო საქმე, სადაც, პირიქით შეინიშნებოდა ფორსირებულ რეჟიმში პროცესების წარმართვის ტენდენცია, რაც გარკვეულ ეჭვს იწვევდა. კერძოდ, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმეზე, მოსამართლემ დაცვის მხარის ინტერესების გაუთვალისწინებლად ინტენსიურად ჩანიშნა სხდომები. თითქმის ყველა პროცესზე დაცვის მხარე უკმაყოფილებას გამოხატავდა ამ საკითხზე, შემდგომ მოსამართლის აცილების შუამდგომლობაც კი დააყენა იმ საფუძვლით, რომ საქმე ფორსირებულ რეჟიმში განიხილებოდა. მოგვიანებით მოსამართლემ პროცესების რაოდენობა შეამცირა და საშუალოდ კვირაში ორჯერ ჩანიშნა.

- კიდევ ერთ ე.წ. Ḍ□□□□□□ 2-ის საქმეზე რომელიც შეეხება ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის მიმართ ბრალდებებს, თავდაპირველ ეტაპზე სასამართლომ ერთპიროვნულად განსაზღვრა სხდომის თარიღები, ისე რომ არ მიიღო მხედველობაში დაცვის მხარის პოზიცია. ადვოკატები საუბრობდნენ, რომ მითითებულ დღეებში არ ეცალათ, რადგან სხვა პროცესებს ემთხვეოდა ეს თარიღები. დაცვის მხარის

პროტესტის მიუხედავად, მოსამართლემ აქაც ფორსირებულად, ახლო შუალედებში ჩანიშნა სხდომები. ორი სხდომის შემდგომ, 10 იანვრის სხდომაზე, მოსამართლემ თვითაცილების შესახებ განაცხადა, მიზეზად კი აღნიშნა, რომ მასსა და ბრალდებულს შორის დაპირისპირებამ პირადი ხასიათი მიიღო და შესაძლოა მას ობიექტურად ვერ წარემართა პროცესი. ამის შემდგომ საქმე სხვა მოსამართლეს დაეწერა, რის შემდგომ მიდგომა შეიცვალა და სხდომები ასეთი ინტენსივობით არ ჩანიშნულა.

---

[1] საქმეზე ბრალდებულები არიან გიორგი უგულავა (თბილისის ყოფილი მერი), ივანე მერაბიშვილი (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი), დავით კეზერაშვილი (თავდაცვის ყოფილი მინისტრი), ზურაბ ადეიშვილი (ყოფილი მთავარი პროკურორი, შემდგომ იუსტიციის მინისტრი), მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი); ბრალდება სსკ-ის 333-ე მუხლის 1 ნაწილი, სსკ-ის 25, 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, სსკ-ის 25, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333 მუხლის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

[2] საქმეზე ბრალდებულად ცნობილია მიხეილ სააკაშვილი და თეიმურაზ ჯანაშია; ბრალდება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[3] საქმეზე ბრალდებულები არიან ბათუმის ციხის, **#3 საპყრობილის ყოფილი დირექტორი და მისი მოადგილე.**

[4] მოსამართლემ 2019 წლის 27 დეკემბერს გაწერა შემდეგი სხდომის თარიღები. 9 იანვარი, 14 იანვარი, 15 იანვარი, 17 იანვარი, 20 იანვარი, 22 იანვარი, 27 იანვარი, 29 იანვარი, 30 იანვარი, 3 თებერვალი, 6 თებერვალი, 10 თებერვალი, 12 თებერვალი, 17 თებერვალი, 19 თებერვალი, 25 თებერვალი, 28 თებერვალი, 4 მარტი, 6 მარტი, 10 მარტი, 12 მარტი, 17 მარტი, 19 მარტი, 23 მარტი, 25 მარტი. სხდომები უნდა დაწყებულიყო დილის11 საათზე და გაგრძელებულიყო მთელი დღე. დაცვის მხარემ გააპროტესტა პროცესების ესეთი ინტენსიობით ჩანიშვნა, თუმცა მოსამართლემსაწყის ეტაპზე არ შეცვალა დასახელებული თარიღები.

[5] ნიკა გვარამია (რუსთავი 2-ის ყოფილი გენერალური დირექტორი) ბრალდება - სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის Ď□□ და Ď□□ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის Ď□□ ქვეპუნქტი; სსკ-ის 221-ე მუხლის პირველი ნაწილი; სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის Ď□□ ქვეპუნქტი; სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის Ď□□ ქვეპუნქტი; სსკ-ის 220-ე მუხლი; ზურაბ იაშვილი

(სარეკლამო კომპანია ინტერმედია პლიუსის დირექტორი), ბრალდება - სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის Ḍ□□ ქვეპუნქტი და სსკ-ის 221-ე მუხლის პირველი ნაწილი; კახაბერ დამენია (რუსთავი 2-ის ყოფილი ფინანსური დირექტორი), ბრალდება - სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი,

[6] მოსამართლემ 2020 წლის 3 იანვრის სხდომაზე გაწერა შემდეგი სხდომის თარიღები: 6 იანვარი, 10 იანვარი, 13 იანვარი, 20 იანვარი, 23 იანვარი, 24 იანვარი, 7 თებერვალი

[7] თვითაცილების საფუძველი, მოსამართლის განმარტებით სასამართლოს შეურაცხყოფა იყო, რაც გამოიხატა გვარამიას მიერ ბრიფინგსა და ფეისბუქ სტატუსში მოსამართლისთვის უცენზურო სიტყვების წოდებაში, ასევე სასამართლომ შეურაცხყოფად მიიჩნია გვარამიას განცხადება მისი არაადეკვატურობისა და არასიფხიზლის შესახებ.

[8] მოსამართლემ სხდომები ჩანიშნა 2020 წლის 24 იანვარს, 30 იანვარსა და 17 თებერვალს.